USAID საქართველოს უზენაესობის პროგრამა

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

პროგრამის მიმოხილვა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა საქართველოში არის 5 წლიანი (2022-2026), 25 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროგრამა, რომელსაც აფინანსებს **ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო** (USAID) და ახორციელებს **აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი** (EWMI).

პროგრამის მიზანია საქართველოში კანონის უზენაესობის გაძლიერება მართლმსაჯულების ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის, საზოგადოების ყველა ფენისთვის მართლმსაჯულებაზე უკეთესი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, და ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებზე მოქალაქეთა და ინსტიტუციური ზედამხედველობის გაძლიერების გზით.

პროგრამის მთავარი კომპონენტებია, მთელი ქვეყნის მასშტაბით ინდივიდუალურ მოსამართლეთა გაძლიერება და სამართლებრივ და სასამართლო სისტემის რეფორმებში ადამიანზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა.

პროგრამის მიზნები და აქტივობები

მიზანი 1: მართლმსაჯულების ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება

USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამა მუშაობს **სასამართლოს დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის გაძლიერების მიმართულებით,** შესაბამისი ტექნიკური დახმარების გაწევის და საჭირო საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირების გზით.

- ჩვენ მონიტორინგს და დახმარებას გავუწევთ არსებული რეფორმების განხორციელებას და ამავდროულად, მხარს დავუჭერთ ახალ ინიციატივებს, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესისა და საქმეთა შემთხვევითი განაწილების სისტემის გაუმჯობესებას.
- გავაძლიერებთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობებს, რომელსაც ბოლო პერიოდში მიენიჭა მომავალი მოსამართლეების (მსმენელების) მიღების ფუნქცია.
- გავაუმჯობესებთ მართლმსაჯულების ადმინისტრირებისა და მართვის ხარისხს, სასამართლოების ადმინისტრირების გაუმჯობესებული ეროვნული მექანიზმების დანერგვისა და ინდივიდუალური სასამართლოებისთვის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნის გაზიარების გზით.
- ხელს შევუწყობთ მოსამართლეთა და ადვოკატთა შორის (Bench-Bar) თანამშრომლობის გაღრმავებას და სასამართლოს მომხმარებლებთან ურთიერთობაში საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას.

პროგრამა **გააძლიერებს ინდივიდუალურ მოსამართლეთა** და მართლმსაჯულების სექტორში მომუშავე სხვა პირთა **შესაძლებლობებს,** რა დროსაც აქცენტი გაკეთდება თბილისის გარეთ მდებარე რეგიონებზე. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ

- დავაფუძნებთ სულ მცირე სამ სამართლის უზენაესობის რეგიონულ ცენტრს. ეს ცენტრები ხელს შეუწყობს კავშირების დამყარებას როგორც სასამართლოებს შორის, ისე სასამართლოებსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფილიალებს, იურიდიული დახმარების სამსახურის ოფისებს, სახალხო დამცველის წარმომადგენლობებს, იურიდიულ ფაკულტეტებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და კერძო სექტორს შორის.
- შევქმნით სამართლის უზენაესობის პრაქტიკის ჯგუფებს, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა იურიდიული პროფესიის მქონე ადამიანებს, მათ შორის მოსამართლეებს. ჯგუფის წევრები ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, მოახდენენ სამართლის კონკრეტული სფეროს პრაქტიკაში არსებული გამოწვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მათი აღმოფხვრის თაობაზე.
- ტექნიკურ დახმარებას გავუწევთ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეთა ჩანიშვნის, ეთიკის სტანდარტების და გადაწყვეტილებების აღსრულების გაუმჯობესების საკითხებში.
- სასამართლოების მხარდაჭერა განხორციელდება მოსამართლეთა გაცვლითი პროგრამების მეშვეობით, მათ შორის, ამერიკელ მოსამართლეთა საქართველოს სასამართლოებში დროებითი განთავსებითა და პირიქით, ქართველ მოსამართლეთა აშშ-ს სასამართლოებში ვიზიტებით, სადაც ისინი სიღრმისეულად გაეცნობიან აშშ-ს საუკეთესო პრაქტიკას.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა **იურიდიული განათლების გაძლიერებას.** ამ მიმართულებით ჩვენ:

- ხელს შევუწყობთ იურიდიული განათლებისა და სამართლის სკოლების აკრედიტაციის ეროვნული სტანდარტების გაუმჯობესებას, ისევე როგორც, USAID-ის დახმარებით შექმნილი კურსების და თბილისის გარეთ არსებულ სამართლის სკოლებში კლინიკური პროგრამების დანერგვას.
- აქტიურად ვიმუშავებთ სამართლის სკოლებთან რათა შევქმნათ ე.წ. „street law“ პროგრამების კოლაბორაციული ქსელი, რაც სამართლის სტუდენტებს, საქართველოს საშუალო სკოლებსა და ადგილობრივ თემებში პრაქტიკული სამართლის საკითხებზე გაკვეთილების ჩატარების გზით, სასარგებლო უნარების შეძენაში დაეხმარება.

მიზანი 2: მართლმსაჯულებაზე ყველასათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის გაძლიერება

პროგრამა იმუშავებს **მართლმსაჯულების ბარიერების მოხსნის მიმართულებით.**

- ვითანამშრომლებთ პარლამენტთან, სახალხო დამცველის აპარატთან, იურიდიული დახმარების სამსახურთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საქართველოში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

- კონსულტაციას გავუწევთ გენდერული თანასწორობის საბჭოს, იურიდიულ და ადამიანის უფლებათა კომიტეტებს.
- ამავე დროს, სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით ორგანიზებას გავუწევთ ეროვნული მედია საშუალების მონაწილეობით წარმოებულ კამპანიას, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეებს ვაცნობებთ მათი უფლებებისა და ამ უფლებების განხორციელებაში სახალხო დამცველის როლის შესახებ.
- ვიმუშავებთ იურიდიული დახმარების სამსახურთან გაწეული მომსახურების ხარისხის უზრუნველ-ყოფის სისტემის გასაძლიერებლად. მენტორობას გავუწევთ სამსახურის იურისტებს, გავაძლიერებთ მათ სასწავლო ცენტრს და ხელს შევუწყობთ იურიდიული დახმარების სამსახურისა და საზოგა-დოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობას მართლმსაჯულების მისაწვდომობის ბარიერების დასაძლევად.

პროგრამა მხარს დაუჭერს **სტრატეგიულ სამართალწარმოებას.**

- მხარს დავუჭერთ არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიულ სამართალწარმოებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: გამოხატვის თავისუფლება, დისკრიმინაციისგან დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, ქალების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა, მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობების მხარდაჭერა (მაგ.: ეთნიკური, რელიგიური უმცირესობები და LGBTQ თემის წარმომადგენლები).

- საგრანტო კონკურსებით მხარს დავუჭერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ვიმუშავებთ მართლმსაჯულების მისაწვდომობის ბარიერების დასაძლევად და გავზრდით ქალების, უმცირესობებისა და სხვა დაუცველი პირების ცნობიერებას მათი უფლებების შესახებ და ამ უფლებებით უკეთ სარგებლობასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამა გააუმჯობესებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას მედიაციისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა ფორმების გაძლიერების გზით.

- ხელს შევუწყობთ საჭირო საკანონმდებლო ცვლილებებს, გავაუმჯობესებთ სასამართლო მედიაციის არსებული პროგრამების ფუნქციონირებას და მხარს დავუჭერთ საქართველოს მედიატორთა ასოციაციისა და საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ინსტიტუციურ განვითარებას.
- ასევე ვიმუშავებთ საუნივერსიტეტო პროგრამებში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების კურსის შეტანის მიზნით. დავაარსებთ არბიტრაჟის, მოლაპარაკებებისა და მედიაციის ყოველწლიურ ეროვნულ კონკურსებს და შევქმნით სტაჟირების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში ან სასამართლო მედიაციის ცენტრებში.
- მხარს დავუჭერთ საინფორმაციო ინიციატივებს არბიტრაჟისა და მედიაციის უპირატესობების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

მიზანი 3: მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე მოქალაქეთა და ინსტიტუციური ზედამხედველობის გაძლიერება

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა **გააძლიერებს ინსტიტუციური ზედამხედველობის მექანიზმებს,** რისთვისაც ჩვენ ხელს შეუწყობს:

- პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტების მხრიდან მოსამართლეობის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (HCOJ) წევრობის კანდიდატების შეფასების მექანიზმების გაუმჯობესებას.
- სახალხო დამცველის აპარატს სასამართლოს მონიტორინგის შიდა სტრატეგიისა და მექანიზმის შემუშავებაში.

პროგრამა ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას მართლმსაჯულების ინსტიტუტებთან ურთიერთობაში, რათა გაუმჯობესდეს სასამართლოს სერვისების ხარისხი და მოწყვლადი ჯგუფებისადმი მოპყრობა, ასევე გაღრმავდეს საზოგადოების ურთიერთობა სასამართლოსთან და საზოგადოებისთვის მეტად გასაგები გახდეს სამართალწარმოების პროცესი.

- მხარს დავუჭერთ კოალიციას დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ადვოკატირების მიმართულებით.

- გავაუმჯობესებთ საზოგადოების მიერ სასამართლო ინსტიტუტების მონიტორინგის შესაძლებლობებს, რისთვისაც მხარს დავუჭერთ მართლმსაჯულების რეფორმის გავლენის ინოვაციურ კვლევებს, რომელთა მეშვეობითაც სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები შეაფასებენ მართლმსაჯულების რეფორმების რეალური შედეგების შესაბამისობას წინასწარ გაცხადებულ მიზნებთან.
- ხელს შევუწყობთ მართლმსაჯულების ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია სასამართლოს მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ.
- გავმართავთ ჰაკათონს მართლმსაჯულების სექტორში არსებული პრობლემების კრეატიული გადაწყვეტის გზების შემუშავების მიზნით. მხარს დავუჭერთ მექანიზმებს, რომლებიც დაეხმარება მოქალაქეებს ზედამხედველობა გაუწიონ ადგილობრივი სასამართლოების და მართლმსაჯულების სფეროს სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების მუშაობას და წაახალისებს სასამართლოებს აწარმოონ სასამართლოს მომხმარებელთა პერიოდული გამოკითხვა.
- მხარს დავუჭერთ სასამართლო პროცესის მონიტორინგის სისტემურ ინიციატივებს, ისევე როგორც სასამართლო პროცესების ინოვაციურ მონიტორინგს, რომელიც საშუალებას აძლევს სასამართლო მხარეებს (რომლებიც ეჭვობენ, რომ მათ არ მოექცევიან სამართლიანად პოლიტიკური ან დისკრიმინაციული მიზეზების გამო), მოითხოვონ სადამკვირვებლო ჯგუფის მონიტორინგი მათი საქმის შესახებ.
- არსებულ სასამართლოებში განვახორციელებთ საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ხარისხის შეფასებას და მხარს დავუჭერთ შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულებისკენ მიმართულ ინიციატივებს.

პროგრამის პარტნიორები

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის განხორციელების პროცესში აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პარტნიორები:

AMERICAN BAR ASSOCIATION
Rule of Law Initiative

ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA/ROLI) 25 წელზე მეტია მუშაობს მსოფლიოში სამართლებრივი ინსტიტუტების გაძლიერებისა და იურიდიული განათლების განვითარების მიმართულებით. ABA/ROLI ორგანიზებას გაუწევს საქართველოს მოსამართლეთა სასწავლო ვიზიტებსა და სხვა გაცვლით ღონისძიებებს, ასევე გამოყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეებს საქართველოს სასამართლოებში გრძელვადიანი მივლინების მიზნით. ამასთან, ის ხელს შეუწყობს იურიდიული განათლებისა და სამართლის სკოლების აკრედიტაციის ეროვნული სტანდარტების დახვეწას და კლინიკური იურიდიული განათლების განვითარებას.

ILF THE INTERNATIONAL LEGAL FOUNDATION

საერთაშორისო სამართლებრივ ფონდს (ILF) იურისტებისთვის მაღალი ხარისხის წარმომადგენლობის განხორციელებაში დახმარების დიდი გამოცდილება აქვს, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების სისტემების გარდაქმნას და კანონის უზენაესობის გაძლიერებას. ILF გამოყოფს თანამშრომლებსა და მკვლევარებს გრძელვადიანი მივლინებისთვის, რომლებიც მენტორობას გაუწევენ იურიდიული დახმარების სამსახურსა და იურიდიული დახმარების გამწევ სხვა სუბიექტებს.

ორგანიზაცია „Street Law“ ორიენტირებულია რეაგირების მქონე მართლმსაჯულების და სამართლის სისტემების შექმნაზე და მცოდნე და თავდაჯერებული მოქალაქეების ჩამოყალიბებაზე, რისთვისაც ის იურიდიულ ფაკულტეტებთან ერთად შეიმუშავებს ხარისხიან სასწავლო ინიციატივებს, რომელსაც სარგებელი მოაქვს როგორც სტუდენტებისთვის, ისე იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც ისინი ემსახურებიან. ორგანიზაცია „Street Law“ უზრუნველყოფს „street law“ პროგრამების შეტანას საქართველოში მოქმედ ხუთ სამართლის სკოლაში.

ნორსვესტერნის უნივერსიტეტის პრიცკერის სამართლის სკოლა კლინიკური იურიდიული განათლების აღიარებული ლიდერია როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე მის გარეთ, მათ შორის საქართველოში. Northwestern მენტორობას გაუწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა კლინიკას და ხელს შეუწყობს კლინიკის წარმატების გავრცელებას საქართველოში მოქმედ სხვა სამართლის სკოლებში.

სასამართლოს ინოვაციების ცენტრი (CCI) მსოფლიო ლიდერია პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სფეროში. იგი ეხმარება სასამართლოებს მართლმსაჯულების სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ ინოვაციური და საზოგადოებაზე ორიენტირებული გადაწყვეტების მოძიებაში. CCI ხელს შეუწყობს ხალხის მიერ შემუშავებული სტრატეგიების განხორციელებას, რაც გაზრდის როგორც ნდობას საქართველოს სასამართლოების მიმართ, ისე მათზე ხელმისაწვდომობას.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრს (EHRAC) 15 წელზე მეტი გამოცდილება აქვს ადამიანის უფლებათა იურისტების გაძლიერებაში. გრძელვადიანი და სიღრმისეული მენტორობის გზით, EHRAC დაეხმარება ქართველ ადამიანის უფლებათა იურისტებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და სხვა საერთაშორისო მექანიზმებში სტრატეგიული სამართალწარმოების წარმოების უნარების განვითარებაში.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა

გამოგვყევით სოციალურ გვერდებზე:

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

5 კოტე მარჯანიშვილის ქ.
თბილისი, საქართველო

info.rolp@ewmi.org
(+995 32) 2 50 54 04